№ 7. 10 იანვარი, ხუთშაბათი 1866--1880 10 იანვარი, ხუთშაბათი. № 7.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

ერევნის მოედანზე, მუხაზრის თავში მარცხნივ, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ხელისმომწერთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію Дроэба“ и „Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

	წელიწადში	6 თვეს	3 თვეს
„დროება“-„ივერია“ ერთად	13 მან.	7 მან.	4 მ.
ცალკე „დროება“	9 მან.	5 მან.	3 მ.
ცალკე „ივერია“	6 მან.	4 მან.	2 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვეულებრივის ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. წვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოშტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ცალკე ნომრები

„დროებისა“

ისყიდება:

თფილისში: შაერდოვის საგენტოში (გოლოვინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში) ბრიქულევის წიგნის მაღაზიაში (ხიდთან, ზუბალოვის სახლებში), აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში (ბულვარზე, მღივანის შენობაში).

ქუთაისში ოლანეზოვის მაღაზიაში (ხარაზოვის შენობაში).

ამას გარდა რკინის გზის ყველა სტანციებზე და ვაგონებში—კონდუქტორებთან.

თუმცა ბევრჯელ გამოვაცხადეთ, რომ უფულოთ გაზეთი არავის ეგზავნება-მეთქი, მაგრამ ახლაც კიდევ მოგვდის ზოგიერთებისაგან მოთხოვნილება, რომ გაზეთი გამოგვიგზავნეთ და „ფულს თავის დროზე მიიღებთო“. ამის გამო საჭიროდ ვრაცხთ კიდევ გამოვაცხადოთ, რომ ვინც ამ-თავითვე ხვედრ ფულს არ გამოგზავნის რედაქციაში, გაზეთი და ჟურნალი არ გაეგზავნება.

ტელეგრამმები

(ხალხთა შორის საგენტოსი)

პეტერბურღი, 7 იანვარს. ვიღაცა ტომსონის ქალს ნიუორკში ხუნაგის (დიფტერიტის) წამალი გამოუშენიათ. ეს წამალი შესდგება ყვავილის გერანიის წვნიდამ. ეს წამალი ყოველ საათს უნდა ადონ იარაზედ. ტომსონის ქალის აზრით ეს წამალი უეჭველად არჩენს ხუნაგსაო; რუსებსაც ურჩევს—ეს იხმარეთო.

პეტერბურღი, 7 იანვარს. „მთავრობის უწყებაში“ სწერია: კავკასიის მთავარ-მმართებლის თანაშემწე თ. სვიატოპოლკ-მირსკი დანიშნულია სახელმწიფო საბჭოს წევრათ და ამასთანავე მისის სურვილისამებრ ავათმყოფობის გამო განთავისუფლებულია ნამესტნიკის თანაშემწის თანამდებობისაგან.

ბერლინი, 7 იანვარს. რუსის იმპერატორის ოც-და-ხუთის წლის ხელმწიფობის დღესასწაულობისათვის პეტერბურღს მობრძანდება გერმანიის პრინცი ფრიდრიხ-კარლი.

კალკუტტა, 8 იანვარს. არახარგაგანის თურქესტანიდამ იწერებიან, რომ სალუმ კაიდერის გავლენა შემცირდაო აჯანყების გამო, აბდურახმანზე არა ისმის რა.

ახალი ამბები

რუსეთის ფინანსის სამინისტროსაგან გამოცემულის 1880 წ. სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ანგარიშიდამ სჩანს, რომ რუსეთის ხაზინა ამ წელს კავკასიის მხრიდამ მოელის შემოსავალს—9,015,200 მანეთსა; გასავალი და ამავე წლის განმავალობაში იქნება სულ—8,031,492 მანეთი. მაშასადამე ხარჯს გარდა კავკასიის მხრიდამ სახელმწიფო ხაზინას დარჩება 983,708 მანეთი.

მაგრამ ეს ხარჯი მარტო კავკასიის სამოქალაქო უწყების ხარჯია; რაც სამხედრო უწყებისათვის (ჯარისათვის) ეხარჯება რუსეთს კავკასიაზე—ის ამ გასავალში არ არის ნაჩვენები.

***

თფილისის კრუჟოკის მიბაძვით კეთილშობილთ კრებამაც (კლუბმაც) შესწირა ფული ჩვენი ქალაქის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. ამ კლუბმა თავის წმინდა შემოსავალიდამ ერთდროებითად გადადვა ამ ქველ მიზნისათვის 3,000 მან. და ამას გარდა გარდაწყვიტა, რომ მუდამ წელიწადს გადადვას ას-ასი თუმანი სახალხო განათლების შესაწევნელ ჯამის შესადგენად.

***

„თფილისის მოამბეში“ დაბეჭდილია ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან შედგენილი პროექტი ამ ქალაქის წლევანდელი 1880 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშისა, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ამ ქალაქის ხაზინა მოელის წელს შემოსავალს სულ 98,612 მანეთსა და 43 კაპეიკს. აქედამ

1)	ქალაქის საკუთარ მამულებიდამ და საიჯარო საგნებიდამ	9,306 მან.
2)	უძრავ ქონებათა გადასახადი	14,000 „
3)	ვაჭრობისა და წარმოების ხარჯი	10,350 „
4)	ხიდების შემოსავ.	8,902 „
5)	სხვა-და-სხვა შემოსავალი.	2,615 „
	ხაზინის შემწეობა:	
6)	პოლიციის შესანახავად	4,000 „
7)	ბათბობა და განათება	1,700 „
8)	ჯარებისათვის	7,780 „
	დროებითი შემოსავ.	
9)	ბაელილ წლების გადასახადი	31,699 „ 43 კ.
10)	სხვა-და-სხვა შემოსავალი.	4,260 „ „
	სულ შემოსავალი	98,612 მ. 43 კ.

გასავალი

მუდმივი და ვალდებულებითი:

1)	ქალაქის გამგეობისთვის	15,600 მ.
2)	ქალაქის შენობათა და ქონების შესანახავად	2,800 „
3)	ბაღების შენახვა	1,220 „
4)	ცეცხლის მქრობელი კამანდა	1,100 „
5)	ქალაქის განათება	5,343 „
6)	ქუჩების და მაღდნების შენახვა	1,500 „

ფელტონი

—

გაუმარჯოს კოტრობას!

ვიყავ ქვეყნის მასხარა,
ლუკმა-პურის ნატრული;
აწ კი ბედმა მიდარა:
ვარ ყოვლისფრითა სრული...
ეხლა კაცად მიცნობენ,
ჩემს ბედსაც ნატრულობენ...
გაუმარჯოს კოტრობას
და ცეცხლის წაკიდებას!

—

უცებ გავხდი მდიდარი,
თბილისის მოქალაქე,
ბევრი კარგი ვაჭარი
შურით ავალაქლაქე.
მაგრამ შემდეგ დაჩუმდნენ,
რაკი ვერაფერს გახდნენ.
გაუმარჯოს კოტრობას
და ცეცხლის წაკიდებას!

—

კოტრობით ვარ მდიდარი,
ცეცხლიც ბევრს შემეწია;
ჩემზერ ბევრი ვაჭარი
დიდ დოვლათსა ეწია.
მაშ ვით არ მოვილხინო
და არ დავიღიღინო:
გაუმარჯოს კოტრობას
და ცეცხლის წაკიდებას!

—

ვინც მასხარათ მიგდებდნენ,
ეხლა მეფერებიან,
და რომ რამეს გამომრჩნენ,
ფეხ-ქვეშ მიგორდებიან.
ვინ ფოლოსა, ვინ ესა.
ურა! ცეცხლს, სიკოტრესა!.
გაუმარჯოს კოტრობას
და ცეცხლის წაკიდებას!

—

სინამდის ვარ ვაჭარი,
ჩემის ბედით დამტკბარი,
და ეს პატივ-დიდება
მექნება დაუმჭკნარი,—
ვიძახებ თავ-მომწონე
რაც კი მაქვს ძალა-ღონე:
გაუმარჯოს კოტრობას
და ცეცხლის წაკიდებას!

1880 წ.

ი. ბაქრაძე.

◆

რკინის გზა

(იმერული სცენა)

კოსტია გახლავარ, გთხოვთ მიცნობდეთ და მწყალობდეთ—გწყალობდეთ ზელათის ხახულისა ღვთისმშობელი. კაი ღმერთმა მოგცესთ, კაი გამოჩენილი აზნაური მე ვიყო ჩვენს იმერეთში,—კაათ გამოწყობილი ცხენით, იარაღით, ქორით, მიმინოთი და მწევარ-მეძებრებით!

თვალი დოუდგა უსწავლელობას, თუ არა, თქვენ არ მომიკვდე, თქვენზე ნაკლები არც მე ვიქნებოდი დღეს არც ჩემი ბრალია: ცხონებულმა მამაჩემმა ჯორი გაჰყიდა, ეიკიდა საგძალი და ქვეითად ჩამომიყვანა ქუთაისს ორი დღის სავალზე.

პირ-და-პირ გემნაზიაში მაკრევია თავი.. გამეეიდნენ ინდოურებსავით გაფუყული უჩიტელები და დამიწყეს რაცხა პურტყული, ეგზამანიაო—მითხრეს... ჯერ მარჯვეთ ვიყავი, მოგეცა ღვთის წყალობა, მარა ბოლოს ქე არ წავხდი.. მკითხეს—**што ты какойо да?** ამას ქე მივხედი და მივაძახე **такой какой**-თქვა.. ზეიცინეს—**какой такой**-ო, კიდო მკითხეს. მეც ივაყოლე **ничаво такой**-თქვა.. ეს მ

7) სხვა და სხვა მოულოდნელი ხარჯი	700 „
არა-ვალდებული ხარჯი:	
8) ქალაქის შკოლის შენახვა .	1,600 „
9) უბინო ბავშვების პატრონობა	190 „
10) ღარიბთა შეწევნა . . .	100 „
11) ასენიზაციის და სანიტარულ ნაწილისათვის. . .	2,660 „
მთავრობისაგან განსაზღვრული ხარჯი:	
12) პოლიციისათვის	20,371 „
13) ჯარების სადგომისათვის .	11,000 „
14) სატუსაღოსთვის	2,120 „
სულ გასავალი. .	66,310 „

როგორც ჰხედავთ, ამ ანგარიშით ქალაქის შემოსავალი 32,302 მანეთით გარდაემეტება გასავალს. მაგრამ კომისიამ, რომელიც ამ ანგარიშის შესამოწმებლად იყო დანიშნული მოსალოდნელ შემოსავლის ჯამი შეამცირა 79,000 მანეთამდინ.

ეს შემოსავალ-გასავლის ანგარიში ჯერ ქალაქის რჩევისაგან არ არის განხილული და არც მთავრობისაგან დამტკიცებული.

* * *

ზუმბრიდამ (ალექსანდროპოლიდამ) იწერებიან, რომ იმისთანა ხორაგის სიძვირე, როგორც წელს არის აქეთკენ, არასოდეს არ გაგონილაო: პურის ფქვილი ფუთი სამ და ათ შაურზედ ნაკლებ არ ისყიდებაო და ყველა ხორაგი ამის-და-გვარად გაძვირდაო.

ამ სიძვირის მიზეზად კორრესპონდენტს ის გარემოება მოჰყავს, რომ ყარსის მაზრიდამ ძალიან ბევრი მუშა-ხალხი მაჰმადიანები გადაესახლნენ ოსმალეთშიო და ამის გამო მიწის შემმუშავებელი და ნამუშევრის მომწევი აღარავინ დარჩაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

ჯავახეთი, 2 იანვარს. ამას წინეთ თქვენის პატივცემულის გაზეთ „დროების“ მე-211 №-ში დაბეჭდილი იყო რამოდენიმე სიტყვა სოფ. ჭილდის შკოლის თაობაზედ. დაწერილი იყო, რომ ჭილდის შკოლაში დაიარება ორმოც-და-ხუთი შაგირდიო; ამ რიცხვში 12 ქალი და დანარჩენი ვაჟიო. პატრონები თავიანთ შვილებს სასწავლებელში გვიან გზავნიან და ადრე მიჰყავთო და სხვ.

აქ ერთი შეცდომა არის: უნდა ყოფილიყო, რომ შკოლაში 45 მოსწავლე „ირიცხება“ და არა „დაიარება“-თქო, რადგანაც ამ დროს სწავლა არც კი ყოფილა დაწყებული.

რაც სწავლა დაიწყო, 45 შაგირდის მაგიერად შკოლაში გამოცხადდა 30 მოსწავლე ქალ-ვაჟი. ეხლა კი 62 მოსწავლე დაიარება ხსენებულს სასწავლებელში; ამათ რიცხვში 28 ქალია და დანარჩენი კი ვაჟი. ამდონი შაგირდი ჯერ ამ სასწავლებელში არ ყოფილა.

რას უნდა მივაწეროთ წელს შაგირდების რიცხვის განმრავლება? ნეტავ პატრონებს წელს ყმაწვილები აღარ სჭირდებათ სამუშევარში? რატომ შინ არ იჭერენ? იქნება სამუშევარი გამოელიათ ჯავახელებს? არა. მართალია, ჯავახეთში მუდამ სამუშევარი ცოტა არის, მაგრამ მწყემსი და საქონლის მომვლელი მაინც ყოველთვის საჭიროა აქაური კაცისთვის, როგორც თხის და ცხვრის პატრონისთვის. მიზეზი სხვა არის:

ამ ჟამად ხალხის სურვილის თანახმად, დედა ენას, რომელიც თითქმის დავიწყებული იყო დღემდინ, რიგიანი ყურადღება აქვს მიქცეული, თუმცა კი, მართალია, ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების შკოლების პროგრამმა არ ითხოვს, რომ დედა ენას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. მაგრამ ყველა, ვისაც კი მასწავლებელის სახელი ჰქვიან და მის უღელს ეწევა, მოვალეა ეს ბორკილი ფეხებიდგან მოიცილოს და სწორ, პედაგოგიურ კვალზე დაადგეს: ამის წინააღმდეგი მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც თვით მასწავლებელმა არ იცის ყმაწვილების სამშობლო ენა და არც მისი სიყვარული აქვს.

ამისთანა მასწავლებლები, სამწუხაროდ ბევრია ჩვენს მხარეში. აი ამისთანა მასწავლებლებს, რომლებსაც ქართული ენის სწავლება ვერ შესძლებიათ და სულ რუსული უსწავლებიათ, დაურქმევიათ თავ-თავიანთ შკოლებისთვის „რუსული შკოლა“ და ამ სახელს უწოდებენ ესენი თავიანთ შკოლებს როგორც სიტყვიერად, ისე ყოველგვარ ქაღალდებში.

საჯავახოს ხალხის დედა-ენის სიყვარულს სხვათა შორის შემდეგი მაგალითი დაგვიმტკიცებს: ერთს ყმაწვილს, რომელიც მშობლებს ბარალეთის შკოლაში მიეყვანა სასწავლებლად, რამოდენიმე დღის სწავლის შემდეგ ეთქვა მამისთვის: „—მამა, მე აქაური უჩიტლის არა მესმის-რა (რუსია მასწავლებელი). თუ ჩემი სწავლა გინდა, სადაც ქართველი იყოს უჩიტლათ „იქ წამიყვანეო“. მამასაც დაეჯერებინა შვილისთვის და ჭილდის შკოლაში მიეყვანა. ამ ყმაწვილის მამას ეთქვა ჭილდის შკოლის მასწავლებლისთვის, რომ ნახევარი ბარალეთი სულ ჭილდაში მოიყვანს ყმაწვილებს, რომ თქვენ ადგილი გქონდეთო, ან აქ სადმე ბინას უშოვიდენ თავიანს, ყმაწვილებსაო *).

ჭილდის შკოლაში ამა 1879 წლის პირველი ნოემბრიდგან გოგოებს დააწყებინეს ხელ-საქმე. ძლიერ სიხარულით მიეგება აქაური ხალხი, განსაკუთრებით ქალები ამ ხელობას; ქალების რიცხვი თან-და-თან მატულობდა. მაგრამ ადგილი არ იყო მათთვის, რომ ცალკე შესძლებოდათ ხელ-საქმობა, ამისთვის მასწავლებელი იძულებული გახდა, სადილის შემდეგ სამის საათიდამ, ე. ი. სწავლის შემდეგ, ხუთ საათამდის, ხელ-მოსაქმე გოგოებისუვის თავისი ოთახი დაეთმო. ეს გარემოება აქაურ მაჰმადიან ქართველებისათვის არ დარჩა სასიამოვნოდ, რადგან ძნელი გასაბედია ამათთვის, რომ ქალი უცხო კაცის ოთახში შევიდეს. რომ ეს მიზეზი არა, მარტო ქალების რიცხვი ორმოც-და-ათამდის ავიდოდა, მაგრამ ოცი ძლივს თავსდება ხსენებულ ოთახში. ხელობას სწავლობს ამ ჟამად ოც-და-ერთი ქალი რვა წლოვანიდგან თექვსმეტ წლოვანამდის; ერთი ამათგანი წერა-კითხვაზე არ დაიარება, მხოლოდ ხელობას სწავლობს.

ამ ხელ-საქმეს ასწავლის უსასყიდლოდ ადგილობრივი მღვდლის ასათიანის მეუღლე, რომელსაც თბილისში შეუსწავლია ეს ხელობა. ყმაწვილებს ძლიერ ეადვილებათ ხელ-საქნარი და ძლიერაც ეხალისებათ.

ძალიან კარგი იქნება, „წერა-კითხვის გამავრცელებელი“ საზოგადოება რომ დაეხმაროს ღარიბ ჭილდის შკოლას მატერიალურად; გაუგზავნოს ხელ-საქმისთვის გოგოებს მასალა: ყაისნალი, წინდის ჩხირები, საქსოვი ძაფები ბამბისა და გარუსი ფერად-ფერადი, კანვა და რამოდენიმე საკაბე იაფი ფასის რუხვი მიტკალი და გარუსების ნემსები. ამასთანავე საჭიროა შეწევნა ქართული სახელმძღვანელოებით: „ბუნების კარი,“

---

*) რევიზიის დროს უ. ლისაჩოვს უთხოვნია ბარალეთის მღვდლის მ. ზირასხოვისთვის, რომ მას ესწავლებინოს შკოლაში ქართული წერა-კითხვა ყმაწვილებისთვის. აქედამ ცხადათ სჩანს, რომ სამშობლო ენა საგნად დაუდვია უფ. ლისაჩოვს და რუსული ენა კი სხვა-და-სხვა საგნების გარდაცემის სახსრად. ეხლა როგორც გვესმის, მ. ზირასხოვი ქართულ ენას კი არა, თავის საგანს — საღმრთო სჯულსაც გულ-გრილად ასწავლის.

ვთქვი და მივასვი ფეხი. ბაზით ველარ ამომაღებიეს მეტი ხმა!

ჩვენებური რუსული სოფელში მქონდა ნასწავლი. ერთმა ნაციბირალმა ყაძახმა მასწავლა. ძაან განათლებული იყო... იმის ნასწავლი რუსული სულ მივაყარე და მივაყარე.. **Собакъ, дуракъ, свинія, водка, розга, сволочъ..** მარა ვერ გეიგეს, თუ რაცხა, გული მოუვიდათ და ში გამომიძახეს გარეთ. ერთმა უჩიტელმა უთხრა მამა-ჩემს, რომ საიდანაც მეიყვანე, იქითკენ წეიყვანე ეს შენი შვილიო, არაფელი არ იცისო.. მაგხელა ბოვშმა კი არა, რუსული ახლა დედის მუცელში უნდა იცოდეს სუყველამო! გაგულისდა ამაზე მამა-ჩემი: რომ ეკადრებოდა, იმისთანა პასუხი მისცა: რა ყოფილხართ თქვენო.. თუ მაგის მეტი ჰკუა არ ჰქონდათ, ამ სიშორეს რაზე მორბოდითო!.. ნასწავლი თუ ყოფილიყოო ჩემი შვილი, თქვენთან რავა მგელი დამჭამდა, რავა მევიყვანდი:—ჩევიყვანდი ფოთში და ფრანცუც ჟაკოს მივცემდიო.

წეველით ჩვენს სახლში.. დავრჩი ასე ჩოჩრათ და დავმუტრუკტი რავარც მიყურებთ, ასე..

ეე.. ვიფიქრე მაშინ... მე ასე დამუტრუკებული იმერეთში აღარ ვარგვარ და ქართლში წავალ, იქინა კი გამოვდგები-თქვა.

დავჰკარ ფეხი და ფხეკა შევადინე ში კაკალ თბილისში! შევხვდი აქანა ჩვენებურს ქვირიკეს. ქაი მოგცეს ღმერთმა, კაი ის იყოს.. ძალიან ნასწავლიც არის. ვორონცოვის ბოგირის მეორე პოპოშნიკის პირველი კასრულების-მწმენდელია... დავრჩი ერთი ეწლიწადი ამასთან. ქიდო მინდოდა დარჩენა, მარა ხატმა მომითხოვა. ბიჭო ქვირიკე, თქვა—რაცხა უცნაური საქმე მემართება—ღამე ეშმაკები მესიზმრება, მაჯლაჯუნა თავზე მაწვება-თქვა.—მეც მასე მემართებაო, მითხრა ქვირიკემ—უნდა წევიდეთ სახლშიო!

დავაპირეთ სახლში წასვლა; დავფსკვენით პირობა, დავადექით გზას და გამოვსწიეთ. აღარც იქით გადაგვიხვევია და აღარც აქეთ.

.მარა უცნაური გზა კი იყო.. შუაში ფიცრები და მერე სიგძეზე სულ რკინები გაყოლილი.. ბიჭო, ვისთვის გაუკეთებიათ ამისთანა გზა-თქვა, რომ აღარც ურმის გზაზე დადის და აღარც შოსიაზე-თქვა? — ეს ჩინოვნიკებისათვის არისო, რო მიწა არ გაუსკდეს და არ სძრიწნოს ქვესკნელშიო!

მივლაპარაკობთ ასე და მივდივართ ჩვენთვის.... შევიხედეთ, მისთანა შენს მტერს სანახავი უნახავს, ჩვენ დევინახეთ: მოდის რაცხა უშველებელი, მარა რა მოდის! იქით-აქეთ შუბლზე ამხელა ცეცხლის თვალები ჰქონდა. მეიკლაკნება, ფშვინავს და ხვნეშის; კვამლი ამოდის პირიდან...

მაშინათვე მივხვდით, რომ ე გველეშაპს რო ეტყვიან, სწორეთ ეს არის-თქვა. წავხდით, შევშინდით ერთი შეშინება, მარა მერე ვიფიქრეთ: ამას რომ გზა უტიოთ, ახლა მთელს იმერეთს შეარცხვენთ-თქვა და ვარჩიეთ, რომ ფასი მიგვეცა... მოგვასწრო იმან თვალი, ერთი საოცრათ მოგვაკივლა!.

„დედა-ენა,“ ქალანდარიშვილის „სახელმძღვანელო,“ „დედანი“ და აგრეთვე ქართული საინტერესო ბროშურები ყმაწვილებისთვის საკითხავად.

ნ. სტრელი.

რუსეთი

— გაზეთს „რუსის უწყებაში“ არხანგელსკიდამ იწერებიან, რომ რადგანაც არხანგელსკის გუბერნიას მეტად დიდი სივრცე უჭირავსო და ამასთანავე მცხოვრებთა რიცხვი ძალიან მცირეაო, ამიტომ იქაურ სახალხო შკოლების დირექტორს ნება მიეცაო თვისი თანაშემწენი ისპრავნიკებსა (პრისტავებსა), მიროვოი პოსრედნიკებსა და ბლაღოჩინებს შორის ამოირჩიოსო. ამ გვარად ამორჩეულნი პირნი დამტკიცებულ უნდა იქმნენ მინისტრის მიერ; მათ ხელში იქმნება ყოველგვარი ზედამხედველობა და ფულის დაჭერა შკოლებზედ, გარდა სწავლის მხვლელობისა, რომელიც მთლად დირექტორისა და ინსპექტორის ხელში იქმნება. ეს თანაშემწენი რასაც კი შეამჩნევენ, ვალდებულნი არიან იმწამსვე აცნობონ დირექტორს.

— ზოგიერთს ნემეცურს გაზეთებში ამას წინად ხმა იყო დავარდნილი, ვითომ ხელმწიფე იმპერატორი ტახტს უთმობს თავის მემკვიდრესაო. პეტერბურლის ფრანციცული გაზეთი ამბობს, რომ ეს ამბავი სრულიად ტყუილიაო.

— „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია ამ 1880 წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ანგარიში რუსეთის სახელმწიფო ხაზინისა; ამ ანგარიშიდამ სჩანს წელს სახელმწიფო ხაზინას ექნება შემოსავალი—666,452,434 მანეთი და გასავალი კი—666,256,500 მანეთი. მაშასადამე ამ ანგარიშით შემოსავალი 195,934 მანეთით უნდა გარდაემეტოს გასავალსა.

რადგან დღეს არც რუსეთისა და არც უცხო-ქვეყნის ფოჩტა არ მოსულა ქალაქში, ამის გამო „უცხოეთის“ განყოფილება ამ ნომერში არ იბეჭდება.

ნარევი

ერთს სარატოვის გაზეთში დაბეჭდილია, რომ შობის წინა ღამეს ვიღაცას გაუკრავს ამ ქალაქში ფარნის ბოძებზე შემდეგი ახირებული განცხადება:

„უფალნო ქალაქის რჩევის ხმოსანნო და ქალაქის სარატოვის უფალნო მდიდარნო! უმორჩილესად გთხოვთ გაგვიჩინეთ საქმე, გვიშოვნეთ მუშაობა, რომ ლუკმა პურის სახსარი შევიძინოთ, თორემ, თუ სხვა გზა არ გვექნება, ჩვენ იძულებული ვიქნებით, რომ ავაზაკობითა და ცუდ-კაცობით მოვიპოვოთ ჩვენი საზრდო.“

ხელ-მოწერილია: „თავმჯდომარე მომავალ ავაზაკების კომიტეტისა“.

ურიგო არ იქნენა, რომ საზოგადოთ ყველა მდიდრებმა და ყველა ქალაქების თვით-მმართველობათა მიაქციონ ყურადღება ამ „წვერ-მეტყველურ განცხადებას“.

⁂

გამოჩენილ ამერიკელს მეხანიკოსს ედდისონს, რომელმანც ტელეფონი და სხვა ბევრი რამ მოიგონა, მოუგონია ახლა ერთი ისეთი სინათლე (ლამპა)' რომელიც ყველა ახლანდელ გასანათებელ იარაღებზე უფრო ძლიერად ანათებსო. სიძლიერეს გარდა ამ მზე-ლამპის ღირსება კიდევ ის არის თურთე, რომ თვალსაც არ აწყენს კაცს. ერთი ამისთანა ლამპა მთელს ქუჩას გაანათებსო.

სამართალი

10 იანვარს

11 იანვარს

1. ივანე ოქოევისა — ბრალდება პრისტავის თანაშემწის ვერგილერის შეურაცხყოფა.
2. ქელბალაი ბაბა-ოღლის: — ბრალდება ყურბან-ორჯოღლის დაჭრა.
3. ვასილი სერეგინისა—ბრალდება არსენ ხითაროვის გაქურდვა.

12 იანვარს

1. ტალიბ-აბას-ოღლისა—იზვოსჩიკის ფექტულინის გაცარცვა.
2. იაკობ დურგალოვისა, რომელსაც ბრალდება ბოროტ-მოქმედება.

12 იანვარს

1. იაკობ ოლანოვსკისა—ბრალდება ოლგა ბალაბანსკის გაქურდვა.
2. იმისავე—ბრალდება პარლ-ვალის გაქურდვა.
3. სიმონ ზევორქიზოვისა—ბრალდება ცეცხლის დროს ნივთების მოპარვა.

15 იანვარს

1. სარქის ხალათოვისა—ბრალდება მარტიროსოვის სადგომიდამ სხვა და სხვა ნივთების მოპარვა.
2. ეკატერინე პანდრევიჩისა—ბრალდება ანნა ფუკსის სამოვრის მოპარვა.
3. იაგორ ზურაბოვის ბრალდება საგატელოვის სადგომიდამ ნივთებით სავსე ზანდუკის მოპარვა.

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცვი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუზარიანცი—სირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

სამშაბათს: ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი—თვალისა, ბაბოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., გერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

ოთხშაბათს: გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცვი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ქალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, პომერანცოვი—გულის.

ხუთშაბათს: ჟურავლევი—ყელისა და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუზარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., გერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: გავრონსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიულის, ლისიცვი—შიგნეულის, ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაბოვი—ნერვების დ შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

შაბათს: ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეიხი—თვალის, ბაბოვი — გულისა და შიგნეულების და გერმიშევი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი **ბაბაევი** მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დინ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი).

დოქტორი **ჟურავლევი** მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი **ობრესტი** ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექმნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპ., ზარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

აქედან ჩვენ შევკივლეთ და მევემზადეთ საომრათ... ბიჭო, პვირიკე, ფიშტო ჰკარ მაგას-თქვა და ვიშვლიჭე ხანჯალს ხელი და გაუელვა.... მარა აპა, ყურიც არ გააპარტყუნა. მოდის და მოდის პირ-და-პირ წივილ-კივილით. იმე, ამ ყურუმსალს სწორეთ არ შინებია ჩვენი-თქვა და მივაძახეთ: გაბრუნდი, შე უწმინდურო, დაგწყევლოს ჩემმა სამას-სამოც-და-ხუთმა წმინდა გიორგიმ-თქვა! წივილით კი ბევრი იწივლა ამ ჩვენს წყეულაზე, მარა მაინც მოდის.... იმე.... იმე... რა ამბავია, ბიჭო პვირიკე, ეს-თქვა... რაზე გვემართება ამისთანა საქმე-თქვა.—ჯრა ზეთ და მარხვის-ჭამიას სახლში რო ვიჯექით მთელი წელიწადით, წევიპილწეთ, ჩვენი წყეულა აღარ ჭრისო!...

ამასობაში მოდის და ქშინავს ეს გველეშაპი... ძალიან რო გაგვიჭირდა, მივიხედ-მოვიხედეთ, ხომ არავინ გვიყურებს-თქვა, და ში გადახტენდით, შევრგავით თავები ბუჩქში... მოგვიახლოვდა თუ არა და მშობიარე დედაკაცივით, დაგვაკივლა და დაგვაკივლა თავზე, სიკაპასით დორბლი წამოუვიდა პირიდან, — მბგვაყარა და მოგვაყარა დორბლი, — მოგვადორბლა და მოგვადორბლა!... მეტი კი ვერაფელი დაგვაკლო, გაგვიარა კუდ-ამოძუებული და დევშვა ძირისკენ...

წამოვხტით ზეზე, მივაკივლეთ და მივაკივლეთ ახლა ჩვენ... პვირიკემ ში კუდში მიახალა ფიშტო და მე კაი-კაი ბრანწები მივაყოლე; მარა იმ უნამუსოს ერთხელაც არ მოუხედავს უკან. გამოსწია თფილისისკენ...

— პვირიკე-თქვა, უთხარი, ეს რაცხა გაჯავრებულია და პირ-და-პირ თფილისში მიდის და, შენი მტერი ჩასანსლურა რავარც ამან მთელი თფილისი ჩასანსლოს-თქვა.

— შენ რა გენაღვლება! თუ ჩასანსლა, იქინა ხომ აღარ გაჩერდება, კიდო იქით წავაო და ჩევიდეთ მერე იმერეთიდამ და დევესაკუთროთ მთელ თფილისსო!...

ამ იმედით ჩევედით ქუთაისში.... ვისაც ვუთხარით ჩვენი ამბავი, — სიცილი დაგვაყარეს: რკინის გზააო და თქვენ გველეშაპათ მოგჩვენებიათო! აიტ შეგირცხვათ თქვენ ნაქართლობაო! თუნდა გველეშაპი ყოფილიყოო, თფილისს რას დააკლებდაო: ჯერ ერთი, უბაშპოროთო იქინა იმას არავინ გააჩერებდა და მეორე, ესეც რო არ ყოფილიყო, ან გააკოტრებდენ, ან ცეცხლს გოუჩენდენ იმ შენს გველეშაპსო!

აკაკი.

რედაქციისაგან

დღეის იქით ყოველგვარი ტელეგრამმები დაიბეჭდება „დროებაში“ იმავე დღეს, რა დღესაც თფილისის დანარჩენ გაზეთებში იქნება დაბეჭდილი, და არა მეორე დღეს, როგორც აქამდისინ იბეჭდებოდა ხოლმე.

ამას გარდა „დროებაში“ დაიბეჭდება სახაზინო **განცხადებანი: საინტენდანტოსი** — სხვა-და-სხვა პოდრიადებისა (იჯარებისა), პოსტავკებისა და სხვ. და აგრეთვე **პრიკაზისა** — მამულების გასყიდვის თაობაზედ.

1880 წელს

„დროება“-„ივერიის“

გამოცემაზედ

1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“ ერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საზოგადო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „**დროება**“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სივრცე) უფრო დიდი ექნება. ჟურნალი „**ივერია**“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

ხელის-მოწერა

მიიღება **თფილისში: „დროება“ - „ივერიის“** რედაქციაში, ერევნის მეიდანზე, შუა-ბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: *Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“*.

ფასი

		წლიწადში.	6 თვეს.	3 თვეს.
„დროება“ და „ივერია“, ერთად		— 13 მან.	— 7 მან.	— 4 მან.
ცალკე:	„დროება“ — —	— 9 „	— 5 „	— 3 „
	„ივერია“ — —	— 6 „	— 4 „	— 2 „

ცალკე ნომერი „დროებისა“ ეღირება — 5 კაპეიკი.
— — „ივერიისა“ — 2 მანეთი.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება“-„ივერიისა“ { **თ. ილ. ჭავჭავაძე.**
სერ. მესხი.

---

15 ნოემბერს ამ 1879 წელს თფილისში დაიწყო თავის მოქმედება „**რწმუნებაზედ დამყარებულ ამხანაგობამ**“ ფირმით

სავაჭრო სახლი

აგორ კასუმოვი და კომპ.

მიზანი ამხანაგობისა არის ყოველგვარ ადგილობრივ წარმებას დაეხმაროს.

თავნი ფული ამხანაგობისა უნდა შესდგეს

750,000 მანეთი

ეს ფული შესდგება პირველი რაზრიადის 1000 მანეთიანი პაებითა, რომელიც დანიშნულს ვადაზე უნდა შემოიტანონ და რომელსაც პრემია ეძლევა. მეორე რაზრიადის პაები, რომელთაც მხოლოდ დივიდენდი (სარგებელი) ეძლევათ, არიან 500 მანეთიანი, 100, 50 და 25 მანეთიანი.

ამ-თავით ამხანაგობა შემდეგ ოპერაციებს დაიწყებს:

1) ასესხებს ფულს იმ პირობით, რომ სესხის ამღებმა დანიშნულ ვადაზე ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს ვალი.
2) იყიდის და გაჰყიდის სარგებლიან გარანტიის ბილეთებს.
3) შესანახავად მიიღებს ფულს.
4) იკისრებს ისეთს სავაჭრო და-საწარმოვო საქმეებს, რომლის შემწეობითაც ამხანაგობას მიეცემა ღონის-ძიება, რომ აუცილებელად საჭირო საგნები გაიაფოს თფილისში.

ამხანაგობა მიიღებს:

სესხისთვის, რომელსაც თვეობით გადაიხდიან 8% წლიწადში.
— — კვირაობით გადაიხდიან 7% წლიწადში.

თვითონ აძლევს:

1. **დროებით შეტანილს ფულში** უპირობოთ და პირობით } $4^{1}/_{2}$ პროცენტს.
2. **მოთხოვნამდინ შეტანილს ფულში** }
3. **ვადით შეტანილს ფულში:** 6 თვით — 5 პროც.
9 თვით — 6 „
1 წლით და მეტით — 7 პროც.

უმთავრესი კანტორა სავაჭრო სახლისა გაღებულია დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის 2-მდინ და საღამოს 6 საათიდამ 8-მდინ. უქმ დღეებში კი დილის 8 საათიდამ დილისვე 10-მდინ.

1880 ГОДЪ ТРЕТІЙ 1880

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА

„СВѢТЪ и ТѢНИ“ „МІРСКОЙ ТОЛКЪ“

еженедѣльный художественный журналъ съ каррикатурами. | еженедѣльный политическій и литературный журналъ.

Годовая цѣна на оба изданія съ доставкою и пересылкою—12 руб.; полугодовая—7

Въ настоящемъ, 1880, журналы „СВѢТЪ и ТѢНИ“ и «МІРСКОЙ ТОЛКЪ» будутъ выходить, также какъ и въ настоящемъ, еженедѣльно, въ форматѣ большихъ заграничныхъ иллюстрацій, по той-же программѣ, но увеличенномъ объемѣ и съ многими улучшеніями, какъ и въ рисункахъ, такъ и въ текстѣ,—первый исключительно преслѣдуя вопросы чисто-художественные, второй—политическіе, общественные, научные и литературные. Такимъ образомъ, оба эти изданія, составляя какъ бы одно цѣлое и обнимая, въ совокупности, всѣ отрасли общественной жизни, политики, литературы, наукъ и искусства, въ состояніи замѣнить собой, для лицъ не имѣющихъ средствъ подписываться на нѣсколько отдѣльныхъ изданій, одновременно и еженедѣльную политическую газету, и журналъ спеціально художественный, съ тремя дорогими преміями и массой отдѣльныхъ приложеній, и журналъ каррикатурный и юмористическій, и, наконецъ, толстый ежемѣсячный журналъ переводныхъ повѣстей и романовъ.

Согласно съ этой программой въ годовое изданіе журнала »СВѢТЪ и ТѢНИ» войдетъ: 1) Сто страницъ бол формата каррикатуръ, иллюминованныхъ красками.—2) Отъ четырехъ до пяти сотъ каррикатуръ мелкихъ.—3) Пятьдесятъ, отпечатанныхъ въ нѣсколько тоновъ, отдѣльныхъ картинъ.—4) Большой, снабженный изящной обложкой, альбомъ, заключающій въ себѣ шесть оригинальныхъ, исполненныхъ, по заказу редакціи, эскизовъ академика К. А. Трутовскаго. 5) Такой-же альбомъ, составленный изъ оригинальныхъ работъ др. извѣстнѣйшихъ русскихъ художниковъ; и 6) безплатная годовая премія—большая, исполненная заграницей, олеографія.

Въ журналѣ «Свѣтъ и Тѣни» примутъ участіе извѣстные русскіе художники: Гг. С. И. Грибковъ, В. Н. Маковскій, Н. В. Невревъ, В. Г. Перовъ, В. Д. Полѣновъ, Е. И. Рачковъ, Е. И. Рѣпинъ, К. А. Трутовскій, Ѳ. И. Ясновскій и др.; декораторъ Импер. Театровъ К. Ѳ. Вальцъ, и художники каррикатуристы—Н. А. Богдановъ, И. М. Васильевъ, С. В. Любовниковъ, М. М. Самойловъ, Федоровъ, и многіе другіе.

Примѣчаніе 1-ое. Цѣна каждаго альбома въ отдѣльной продажѣ будетъ назначена не менѣе 3 р., а годовой преміи, также какъ и въ прошломъ году—5 р.

Примѣчаніе 2-ое. Всѣ гг. вновь подписавшіеся при требованіи премій 1878 и 79 гг.—олеографій „На медвѣжьей охотѣ“—и „Штормъ на морѣ“ благоволятъ прилагать къ подписной суммѣ; два р., вмѣстѣ трехъ—за первую, и четыре, вмѣсто пяти—за вторую.

Журалъ „МІРСКОЙ ТОЛКЪ“ (изданіе безцензурное), по примѣру прошлаго года, имѣетъ предложить читателямъ: 1) передовыя статьи; 2) правительственныя распоряженія; 3) вѣсти изъ за границы; 4) жизнь нашихъ провинцій; 5) слухи и сообщенія; 6) фельетоны—общественной жизни, московскій театральный и музыкальный; 7) обазрѣніе нашей печати; 8) романы, повѣсти и пьесы; 9) стихотворенія; 10) смѣсь, и 11) юмористическій листокъ.

Кромѣ того, журналъ „Мирской толкъ“ съ января 1880 г будетъ выдавать всѣмъ подписчикамъ безплатно, какъ приложеніе, 12 книгъ (по книгѣ въ мѣсяцъ; отъ 250 до 300 страницъ въ каждой) избранныхъ романовъ, повѣстей и расказовъ. За это изданіе гг. подписчики высылаютъ только 1 рубль на укупорку и почтовые расходы. Въ отдѣльной продажѣ цѣна каждой книги 1 рубль.

Въ текстѣ самаго журнала „Мірской толкъ“ будутъ напечатаны, между прочимъ: новая комедія В. Балуцкаго, «Родственники», увѣнчанная преміею Краковской академіи; историческая трагедія «Дженъ Шоръ» Н. Байрона; нѣсколько отривковъ изъ пьесы «Король забавляется» (*Le roi s' amuse*) Виктора Гюго, стихотворномъ переводѣ Н. Л. Пушкарева; историческій романъ Гр. С—ова—«Старой вѣры хранители» и т. д. Помѣщены будутъ, конечно, по мѣрѣ выхода ихъ, и новыя произведенія знамѣнитыхъ романистовъ Запада: Золя, Гонкура, Шпильгагена, Ауербаха, Рищпена, Генри Удъ и друг.

Подписная цѣна на оба изданія:

На годъ доставкою и пересылкой . . . . . . 12 р
„ полгода „ „ „ . . . . . . 7 р.

Примѣчаніе. Разсрочка платежей подписной суммы допускается: или за поручительствомъ гг. казначеевъ, или по третямъ. съ обязательнымъ взносомъ первой—при подпискѣ, второй—не позднѣе 15 марта и послѣдней—15 іюля. Полугодовые подписчики правомъ на полученіе годовой преміи не пользуются.

Подписка принимается: въ Москвѣ, въ Главной конторѣ журналовъ „Мирской Толкъ“ и „Свѣтъ и Тѣни“ (Петровка, д. Товарищества Петровскихъ линій № 15), куда благоволятъ адресовать свои требованія гг. иногородные.

Съ 10 ОКТЯБРЯ прошлаго года, для большаго удобства гг. подписчиковъ, при Главной Конторѣ журналовъ „Мірской Толкъ“ и „Свѣтъ и Тѣни“ открытъ книжный и картинный магазинъ, съ пріемомъ объявленій и подписки и на всѣ другія русскія періодическія изданія, а при редакціи имѣется собственная типографія и хромолитографія. Всѣ заказы и требованія гг. иногородныхъ, какъ книжнымъ магазиномъ, такъ и типографіей, исполняются немедленно и аккуратно. Гг. подписчики на „Мірской Толкъ“ и „Свѣтъ и Тѣни“, при выпискѣ изъ магазина книгъ и картинъ, изи заказовъ типографскихъ и литографскихъ работъ, за пересылку ничего не платятъ, а при помѣщеніи въ текстѣ названныхъ журналовъ какихъ либо публикацій пользуются уступкой 20%.

Редакторъ-Издатель Н. Л. ПУШКАРЕВЪ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Января 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.